საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-08/01

ქ. ბათუმი 09 იანვარი, 2019 წ.

,,2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ფინანსური დავალიანების მქონე ბსუ-ს სტუდენტთა სტატუსის შეჩერების შესახებ აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ'' ბსუ–ს რექტორის 2018 წლის 18 დეკემბრის №01- 09/815 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე, 63-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13, 66–ე მუხლების, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'', ,,2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 04 სექტემბრის №01-08/110 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,2018-2019 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ფინანსური დავალიანების მქონე ბსუ-ს სტუდენტთა სტატუსის შეჩერების შესახებ აქტის გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ'' ბსუ–ს რექტორის 2018 წლის 18 დეკემბრის №01- 09/815 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) ბრძანების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. დაინტერესებულ პირებს (სტუდენტებს), ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით განემარტოთ, რომ შეუძლიათ არაუგვიანეს 2019 წლის 18 იანვრისა, ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები გამოსაცემ აქტთან დაკავშირებით.''

ბ) ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. ბსუ-ს სტუდენტთა მიმართ ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანება გამოიცეს 2019 წლის 20 იანვრის შემდეგ, ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად.

2. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს ფაკულტეტებს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

3. ბრძანება საჯარო გამოქვეყნების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

5. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**